41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს



# ძვირფასო ბორჯომელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.

„განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ბორჯომის მერობის კანდიდატისა და ბორჯომის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ბორჯომის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ბორჯომი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

***„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო***

# ბორჯომის მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

**გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ბორჯომის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.** იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს 14,7 მლნ იყო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 32 მლნ ლარია, იზრდება ზოგადად საბიუჯეტო შემოსავლებიც – თუ 2013 წელს ადგილობრივი ბიუჯეტი სულ 2,5 მლნ ლარი იყო, 2021 წელს 10,4 მლნ ლარს შეადგენს.

### სოფლის მეურნეობა

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

**ბორჯომის მინიციპალიტეტში,** 2014-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 2 პროექტი** განხორციელდა (ჯამური ინვესტიცია 2 182 485 ლარი, სახელმწიფოს თანამონაწილეობა 872 994 ლარი). 2018-2021 წლებში, პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“** მხარდაჭერილია 5 პროექტი (ჯამური ინვესტიცია 738 468 ლარი, თანამონაწილეობა 290 129 ლარი). **აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამით**, 2014-2021 წლებში, ჯამურად, 28 ჰექტარი ფართობი დაიზღვა (დაზღვეულია 187 809 ლარის მოსავალი), რითაც 20-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. ფერმერებისთვის სტიქიით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად 30 865 ლარი გაიცა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით, დღეისათვის მოქმედებს 12 კოოპერატივი (82 მეპაიე, მობილიზებული კაპიტალი 311 480 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტის** პროგრამით, 2013-2021 წლებში, ჯამურად 6 250 406 ლარის პროექტები განხორციელდა (სახელმწიფოს თანამონაწილეობა 1 583 187 ლარი), რითაც 48-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. 2020 წლიდან ხორციელდება 2 პროგრამა: **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამით** 4 პროექტის განვითარებას შეეწყო ხელი (ჯამური ინვესტიცია 157 980 ლარი, თანადაფინანსება 121 600 ლარი), ხოლო **სოფლის განვითარების პროგრამით,** 2020 წლიდან 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, 2 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 2 ხელშეკრულება (ინვესტიცია 433 699 ლარი, სააგენტოს თანადაფინანსებაა 340 000 ლარი).

2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით ცხოველთა მფლობელებისთვის უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია (თურქულის, ჯილეხის, ბრუცელოზის, მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტის, ცოფის საწინააღმდეგოდ), ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებას და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც, მომდევნო 4 წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტში რამდენიმე ასეულ ახალ სამუშაო ადგილს შექმნის და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.**

### მეწარმეობის განვითარება

**მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.** ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

**ბორჯომის მუნიციპალიტეტში,** სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“** დაფინანსდა 1 საწარმო (ინვესტიცია ჯამურად 300 000 ლარი შეადგინა, დასაქმებულია 7 ადამიანი). ამავე პროგრამის **სასტუმროს კომპონენტში** ხელშეკრულება გაფორმდა 19 სასტუმროსთან, აქედან, 2021 წლის ივნისის მდგომარეობით, ხელი შეეწყო 18 სასტუმროს მშენებლობას (ჯამური ინვესტიცია 61 759 056 ლარი). ამ სასტუმროებში, პროგრამის ფარგლებში, დასაქმდა 397 ადამიანი, ხოლო ჯამურად მუნიციპალიტეტს 807 ახალი სასტუმრო ნომერი შეემატა. **„მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 982 507 ლარის გრანტი გაიცა, განხორციელდა 1 260 141 ლარის ინვესტიცია და ჯამურად დაფინანსდა 125 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოება – 65, ახალი „სტარტაპის“ მხარდაჭერა – 60 პროექტი).

- **მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტებისა თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა.**

### ენერგეტიკა

**საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება.** ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

2014-2021 წლებში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, **აშენდა** 2 ჰიდროელექტროსადგური (ფარავანი ჰესი და დვირულა ჰესი), რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 88,53 მეგავატს შეადგენს, ხოლო წლიური გამომუშავება 420 მლნ კვტ/სთ. **მშენებლობის ან ლიცენზირების ეტაპზეა: მტკვარი ჰესი** (დადგმ. სიმძლავრე 53 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 230 მლნ კვტ/ სთ, ინვესტიცია 115 მლნ აშშ დოლარი); **ახალქალაქი ჰესი** (დადგმ.სიმძლავრე 7,5 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 39,2 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 20 მლნ აშშ დოლარი); **ახალქალაქი ჰესი 2** (დადგმ. სიმძლავრე 1,6 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 9,8 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 5,5 მლნ აშშ დოლარი); **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა: ანდეზიტ ჰესი** (დადგმ. სიმძლავრე 1,1 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 4,3 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 1,6 მლნ აშშ დოლარი); **ტაშისკარი ჰესი (**დადგმ. სიმძლავრე 0,9 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 6,9 მლნ კვტ/ სთ, ინვესტიცია 1,5 მლნ აშშ დოლარი); **პლატო ჰესი-ბორჯომჰესი** (დადგმ.სიმძლავრე 11,8 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 43,3 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 13,6 მლნ აშშ დოლარი); **არაკალი ჰესი** (დადგმ. სიმძლავრე 1,9 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 14,1 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 3,7 მლნ აშშ დოლარი);

2013-2017 წლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, 1174 აბონენტს დაუმონტაჟდა **ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა. 2020 წელს სოფელ




წაღვერის კულტურის სახლი

კორტანეთის **გაზიფიცირების** შედეგად, 80-მდე ოჯახს მიეცა ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვის საშუალება. 2022 წელს დაგეგმილია სოფელ დიდი მიტარბის გაზიფიცირება, რითაც დამატებით 130 ოჯახი ბუნებრივი აირით უზრუნველყოფილი იქნება.

## ტურიზმი

**„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.**

**ბორჯომის მუნიცილაპიტეტში,** ტურიზმის განვითარების მიზნით, განხორციელდა რეგიონის ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია, ამჟამად მიმდინარეობს ტურისტული მარშრუტების კვლევის პროექტი. 2016 წელს დაბა ბაკურიანში გაიხსნა ახალი ტურისტული საინფორმაციო ცენტრი.

**ტურისტული ობიექტების მიმზიდველობის მაქსიმალური ზრდისა და არსებული ტურისტული პოტენციალის ათვისების მიზნით, განხორციელდა შემდეგი პროექტები:** დაბა ბაკურიანში „კოხტაგორის“ საბაგირო შუალედური სადგურის და სასრიალო ტრასის პროექტი (საერთო სიგრძე 2 000 მ); დაბა ბაკურიანში მოეწყო ხელოვნური გათოვლიანების სისტემა და სათხილამურო ტრასებზე ღამის განათება; დაბა მიტარბში ორი საბაგიროს მშენებლობა; ბორჯომის შემოგარენში ტურისტული საფეხმავლო ბილიკების დაპროექტება-მარკირება, სათანადო მანიშნებლებითა და საინფორმაციო დაფებით; ტურისტული სამანქანო-საექსკურსიო ბილიკების დაპროექტება, სათანადო მანიშნებელებით და საინფორმაციო დაფებით; სოფელ დაბაში ველობილიკების პროექტირება/აშენება; ბორჯომში ტურისტული საინფორმაციო ცენტრის შენობის რეაბილიტაცია. 2020 წელს განხორციელდა ვიზიტორთა ცენტრის რეაბილიტაცია ბორჯომსა და ხარაგაულში, (დონორი: TJS, WWF; CNF; EU (ENPARD)– 472 743 ლარი).

2016 წელს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში განახლდა საგანმანათლებლო ბილიკები (102 809 ლარი). 2019 წელს ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში განახლდა საგამოფენო დარბაზი (60 000 ლარი). 2021 წელს ბორჯომში – ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე, კერძოდ, ნეძვის აღკვეთილში, კეთილმოეწყო ახალი ეკოტურისტული (32 კმ), წრიული, პანორამული ბილიკი, რომელიც ერთმანეთთან სოფელ ახალდაბას, მთა დიდ ქართას, მთა შუანოს და სოფელ ნეძვს აკავშირებს.

- **„ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის, ქვეყანას 10 მლნ მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

## გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა.** ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2015 წელს, ბორჯომში, ჩატარდა **ტყის ინვენტარიზაცია,** მომზადდა ტყის მართვის 10-წლიანი გეგმა. 2013-2020 წლებში, საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, გაცემულია 104 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2019-2021 წლებში, მოსახლეობისთვის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო **საქმიანი ეზო.**

სრულად აღდგა 2008 წელს **ხანძრით განადგურებული ტყის** ყველაზე კრიტიკული მონაკვეთი, დაირგა 200 ათასზე მეტი ნერგი. 2012 წლიდან მიმდინარეობს ნაძვის ხმობის გამომწვევი მავნე მწერის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები ფერომონიანი მწერსაჭერების გამოყენებითა და სანიტარული ჭრებით. რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება**.

- **სამომავლოდ გაგრძელდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების გაფართოება;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და ოჯახების (კომლი) საკარმიდამო ნაკვეთები, საცხოვრებელი სახლები და ინფრასტრუქტურული ობიექტები, გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გაგრძელდება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერება, დაგეგმილია ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა დარღვევათა პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით („ცხელი წერტილების“ კონტროლი სამეთვალყურეო კამერებით, ახალი თაობის დრონების გამოყენებით და სხვა);**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

## ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2023 წლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

2013-2020 წლებში, ბორჯომში, **ადგილობრივი მნიშვნელობის** გზების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 32 მლნ ლარამდე დაიხარჯა. აშენდა 2 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 30 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 1,206 მილიონი ლარის კომპენსაცია გამოიყო.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში ბორჯომის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის 15 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 1 824 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

2014-2020 წლებში, ბორჯომში, **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარება, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 15,1 მილიონ ლარზე მეტით დაფინანსდა. ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2021-2023 წლებში, დამატებით 14 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.



### ბორჯომის მუნიციპალიტეტში უკვე მიმდინარეობს ან იგეგმება წყალმომარაგების შემდეგი პროექტები:

- დაბა ბაკურიანის წყალმომარაგების აღრიცხვის კვანძების მოწყობა – 3 827 209.00 ლარი;
- დაბა წაღვერის წყალმომარაგების სისტემის წყალმიმღები და გამწმენდი ნაგებობების პროექტირება/მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა – 6 476 964.00 ლარი;
- სოფ. ციხისჯვარში მშენებარე ჭაბურღილებისთვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა – 191 000 ლ;
- დაბა ბაკურიანის წყალმომარაგების სისტემის ოპტიმიზაციის სამუშაოების პროექტირება;
- დაბა ბაკურიანის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა – 1 879 991.00 ლარი;
- სოფ. ანდეზიტში სასმელი წყლის რეზერვუარისა და საქლორატოროს მოწყობა – 114 114 ლ ;
- დაბა ახალდაბაში – სასმელი წყლის მაგისტრალური მოწყობა, სოფ. ყვიბისში სასმელი წყლის შიდაქსელის რეაბილიტაცია და კორტანეთში სასმელი წყლის მოწყობა – 445 000 ლ;
- სოფ. საკირის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა – 452 402 ლ;
- სოფ.ციხისჯვარში სასმელი წყლის რეაბილიტაცია – 32 000 ლ;
- სოფ.ქიხარულაში სასმელი წლის რეაბილიტაცია – 24 000 ლ;
- სოფ.ტაბაწყურში სასმელი წლის რეაბილიტაცია – 32 000 ლ;
- სოფ.დვირში სასმელი წლის რეაბილიტაცია – 32 000 ლ;
- სოფ.ცემში სასმელი წყლის რეაბილიტაცია – 24 000 ლ;
- სოფ.კორტანეთში სასმელი წყლის რეაბილიტაცია – 24 000 ლ.

### 2021-2022 წლებისთვის, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფ. ჩითახევში შიდასაუბნო გზის რეაბილიტაცია – 510 428 ლ;
- დაბა წაღვერში ჩიხების რეაბილიტაცია – 531 883 ლ;
- დაბა ბაკურიანში, წაქაძის ქ.ჩიხის („სახლი ტყეში“ მისასვლელამდე) რეაბილიტაცია – 614 650 ლ;
- სოფ. ბეშეთში ს/გზის რეაბილიტაცია (I ეტაპი), სოფ. ვარდგინეთში გზის რეაბილიტაცია – 634 605 ლ;
- ქ. ბორჯომში, რუსთაველის ქ.№115-ში და 109-ში შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია – 675 268 ლ;
- დაბა ბაკურიანში, წერეთლის ქ. მონაკვეთის (დიდველის გზამდე) რეაბილიტაცია (ხიდი), ქუმარიტაშვილის ქ. და ჩიხის რეაბილიტაცია, წერეთლის ქ. რკალის (წაქაძის ქ. მიმდებარედ) რეაბილიტაცია – 952 140 ლ;
- სოფ. ქიხარულადან სოფ. მოლითამდე ს/გზის რეაბილიტაცია – 837 000 ლ;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის შენახვის სამუშაოები – 400 000 ლ;
- ქ. ბორჯომში, რაზმაძის ქ.№25-ის მიმდებარედ გზის გამყოლი საყრდენი კედლის მოწყობა – 232 900 ლ;
- სოფ.ქობისხევში სკოლის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა – 262 000 ლ;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების გამყოლი სანიაღვრეებისა და სანიაღვრე ქების მოვლა-პატრონობა – 150 000 ლ;
- ქ. ბორჯომში მესხეთის ქ.№5-ში მდებარე მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია – 19 517 ლ;
- ქ. ბორჯომში აღმაშენებლის ქ. №35-ის მიმდებარედ გზის გამყოლი რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა – 83 607 ლ;
- ქ. ბორჯომში, რუსთაველის ქ. გზისპირა მოაჯირის მოწყობა – 26 220 ლ;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფეხით სავალი ნაწილის შეკეთება (მოვლა– პატრონობის) – 59 826 ლ;
- ქ. ბორჯომში, მესხეთის ქ.№5-ში არსებული მერიის შენობის ფასადისა და კიბის რეაბილიტაცია – 19 710 ლ;
- ქ. ბორჯომში, სააკაძის ქ. №3-ში კორპუსის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია და რუსთაველის ქ №35-დან №39-მდე გზის მონაკვეთის, გამყოლი კედლისა და კიბეების რეაბილიტაცია – 107 998 ლ;
- სოფ. პატარა მიტარბიში შიდაგზების მოხრეშვა – 20 000 ლ;
- სოფ.ქიხარულიდან მოლითამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 241 851 ლ.

**ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41**

# ოთარ არბოლიშვილი: „ბორჯომისთვის, გუნდთან ერთად, ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებ!“

**ოთარ არბოლიშვილს ბორჯომში განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. ბოლო წლებში საკრებულოს თავმჯდომარეა, მანამდე კი, რეგიონში, არაერთ საპასუხისმგებლო საქმეს ასრულებდა. ამბობს, რომ პროფესიით, მამის მსგავსად, დურგალი, განათლებით კი – იურისტია. უშიშროების აკადემიის დასრულების შემდეგ სამმართველოშიც იმუშავა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტშიც. დიდხანს ვერც ერთგან გაძლო – ისეთი დავალებების შესრულება არ სურდა, რომლებიც მის პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა. პატაკის დაწერის შემდეგ, ბედი ბიზნესში სცადა. პოლიტიკური გემოვნებისა და ოპოზიციური განწყობის გამო, ახალბედა ბიზნესმენი წინა ხელისუფლების ზეწოლის მსხვერპლიც გახდა, მაგრამ არ დანებდა. 2013 წლიდან „ქართული ოცნების“ რიგებშია. დარწმუნებულია, რომ ამ გუნდს ქვეყანაში ალტერნატივა არ ჰყავს. „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი იმაშიც დარწმუნებულია, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვებს. ოთარ არბოლაშვილი ბორჯომში გატარებულ ბავშვობას, ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპებს იხსენებს და იმ გეგმებსაც გვიხელს, რომლებიც მშობლიურ მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით აქვს.**

– ბორჯომში, სოფელ ტიმოთესუბანში დავიბადე, თებერვლის თვეში. დედა, ელენე გელაშვილი, დიასახლისი იყო, მამა, ოთარ არბოლიშვილი კი – დურგალი. ჩვენი ოჯახი სტუმარმასპინძლობით გამოირჩეოდა. ჩემი დაბადების დღესაც სტუმრები გვყოლია. დედამ სუფრა გაშალა და მასპინძელი მამა შეზარხოშდა. სტუმრები რომ აიშალნენ, მამა ტახტზე მიწვა და ჩაეძინა. როცა გაიღვიძა, თეთრხალათიანები დაინახა. რა ხდებაო, იკითხა შეშინებულმა. ბიჭი შეგეძინათო – ახარეს. მოკლედ, სანამ მამას ეძინა, დედას მშობიარობა დაეწყო. დიდთოვლობის გამო სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ჯერ მოსვლა დაიგვიანა, შემდეგ კი, დედის სამშობიაროში წაყვანა ვეღარ მოესწრო და საკუთარ სახლში გავჩნდი. 4 გოგოს მერე ბიჭის დაბადებით გახარებულ მამას დაუყვირია: მიჩუქებია სახლიც, გვარიც და სახელიცო. ამიტომ ვატარებ მამაჩემის სახელს, რაც დიდი პატივია. უფროსი და – დოდო, ჩემზე 16 წლით უფროსია. მასაც და მომდევნო სამ დას – ნაირას, დარეჯანსა და ელიზას, ჩემს გაზრდაში, უდიდესი წვლილი მიუძღვით. ბავშვობა ძალიან ლაღი მქონდა. მშობლები პატიოსანი, მშრომელი ხალხი იყო. მამა საკუთარი ხელით ალამაზებდა გარემოს, სადაც დღესაც ვცხოვრობ. მისი პროფესია ყოველთვის მიზიდავდა და ამიტომ, დღეს ვამბობ – პროფესიით დურგალი ვარ, განათლებით – იურისტი. სამწუხაროდ, მშობლები ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ მუდმივად მახსენდება მათი ცხოვრების კრედო: ადამიანი უნდა იყოს პატიოსანი და მშრომელი. სკოლა წაღვერში დავამთავრე. რთული პერიოდი იყო. არეულობა და სიდუხჭირე. მახსოვს, ცივ ზამთარში სკოლამდე 3 კილომეტრს ფეხით გავდიოდი და ჩანთით შეშა მიმქონდა. 1997 წელს სახელმწიფო უშიშროების აკადემიაში ჩავაბარე. იურისტის პროფესია ჩემთვის ჭეშმარიტებასთან, სამართლიანობის დაცვასთან ასოცირდებოდა. პროფესიით 2002-2005 წლებში ვიმუშავე, უშიშროების სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ სამმართველოში. რთულ პერიოდში მომიწია მუშაობა. იმ პერიოდში ძალიან ბევრი მეგობარი შევიძინე. სამსახურიდან საკუთარი პატაკის საფუძველზე წამოვედი და მოგვიანებით, 2 წელი, საზღვრის დაცვის დეპარტამენტში დავსაქმდი.

**– ამ დეპარტამენტში რა პირობებში გიწევდათ მუშაობა და რამდენად ეფექტურად კონტროლდებოდა მაშინ საზღვარი?**

– ჩვენ დაქვემდებარებაში იყო სასაზღვრო-გამშვები პუნქტი. იცით, მთავარი რა არის? – სადაც უნდა იყო, რა მოვალეობასაც უნდა ასრულებდე, უნდა ეცადო, ადამიანებს დაეხმარო, უსამართლოდ არ მოექცე. მეც ეს მიდგომა მქონდა, მიუხედავად იმისა ადამიანი საზღვარს ტოვებდა თუ შემოდიოდა ქვეყანაში. საკმაოდ საინტერესო სამსახური იყო.

**– თუ ასეა, ამ სამსახურიდანაც საკუთარი პატაკის საფუძველზე რატომ წამოხვედით?**

– დეტალებზე ვერ ვისაუბრებ, მაგრამ ორივე სამსახური მაშინვე დავტოვე, როგორც კი უსამართლობას წავაწყდი. იყო რაღაც დავალებები და არა სამსახურეობრივი მოვალეობები, რაც ჩემს პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა და რასაც არ შევასრულებდი. სამსახურიდან წამოსვლის შემდეგ კერძო სექტორში, სამშენებლო და სადურგლო საქმიანობით დავკავდი.

**– და წარმატებას მიაღწიეთ? სამსახურიდან „დავალების არშესრულების“ გამო წამოსულ ადამიანს, წინა ხელისუფლების პირობებში, ბიზნესის აწყობის საშუალება მოგცეს?**

– მთავარია, ადამიანს გქონდეს მიზანი და იყო მოტივირებული, ამ მიზანს მიაღწიო. სირთულეების მიუხედავად, საბოლოოდ, შედეგს მაინც მიაღწევ. დიახ, მაშინ არც ასეთი ბიზნესგარემო იყო და არც ჩემი ბეგრაუნდის გამო ამინთებდა ვინმე მწვანე შუქს; მით უმეტეს, ერთ-ერთ არჩევნებზე, ჩემი მეგობრების მსგავსად, ოპოზიციურ კანდიდატს მივეცი ხმა, რადგან სააკაშვილი და მისი გუნდი ჩემთვის მიუღებელი იყო. თავიდან ყველაფერი კარგად აეწყო, მაგრამ შემდეგ დაიწყო ზეწოლა. მეტიც, ერთ არამშვენიერ დღეს მოვიდნენ და ისე, რომ არაფერი ამიხსნეს, „დაალაგეს“ სიტუაცია. ისე გამოიყვანეს, თითქოს ქვეყნის ამომგდები ვიყავი და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიმცეს – 5 მუხლი წამიყენეს. ვიბრძოლე, 4 მუხლს ამნისტია შეეხო, ბოლოს კი, ხე-ბუჩქნარის უკანონო მოჭრაში დამდეს ბრალი. პირველ შვილს ველოდებოდი მაშინ და ყველაფერი გავაკეთე, რომ ჯარიმაც გადამეხადა და მხოლოდ პირობითი მსჯავრი მოესაჯათ.

**– ამ ფონზე გასაგებია, დღეს ამ გუნდის წევრი რატომ ხართ. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერად 2011-2012 წლიდანვე მოიაზრებით?**

– ამ გუნდის მხარდამჭერი, პოლიტიკურ ასპარეზზე მისი გამოჩენის პირველივე დღიდან ვარ. თუმცა, 2011 წელს, პოზიცია ღიად არ დამიფიქსირებია.



დაიბადა 1977 წლის 26 მარტს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიმოთესუბანში, მოსამსახურის მრავალშვილიან ოჯახში.

1995 წ. დაამთავრა დაბა წაღვერის საშუალო სკოლა. 1997 წელს ჩაირიცხა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემიაში, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 2002 წელს.

2002-2005 წლებში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ სამმართველოში; 2005-2006 წლებში – საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოში.

2007-2012 წლებში დაკავებული იყო კერძო ბიზნესით. 2013-2015 წლებში მუშაობდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლად, დაბა წაღვერის ადმინისტრაციულ ერთეულში.

2017 წლიდან, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში არჩეულია დაბა წაღვერის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარ დეპუტატად. 2018 წლიდან არჩეულია ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ.

2020 წლიდან დღემდე ასრულებს საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი



ამის მიზეზი ისიც იყო, რომ „ნაციონალები“ მოვიდნენ და ჩვენ დაგვიჭირე მხარი, პირობითს მოგიხსნითო, მეუბნებოდნენ. არ მინდოდა ამ ყველაფერში გარევა. ჩემს სადურგლოში ვმუშაობდი, რამდენიმე დაქირავებულ ადამიანთან ერთად. 2013 წლის არჩევნებზე მივიღე შემოთავაზება, წაღვერის რწმუნებული გავმხდარიყავი. „ქართულმა ოცნებამ“ ჩემი პიროვნება დაინახა. მიუხედავად იმისა, რომ 2011 წელს ღიად არ ვიდექი მათ გვერდით, ამ თანამდებობის ღირსად ჩამთვალეს.

**– წაღვერის რწმუნებული 2 წელი იყავით, შემდეგ კი, ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარეც გახდით. ამ პოზიციებზე რა გააკეთეთ ისეთი, რაც 2 ოქტომბრის არჩევნებზე „სავიზიტო ბარათად“ გამოგადგებათ?**

– მაქსიმალურად ვცდილობდი, ხალხის ინტერესები ყოფილიყო დაცული. რწმუნებულის პოზიციაზე ყოფნისას, მოვაწესრიგეთ წაღვერის ცენტრში არსებული სკვერი, მოვაწყვეთ გარეგანათება, დავაგეთ სოფლამდე მისასვლელი გზა... რაც მთავარია, ადამიანებთან მქონდა ღია, უშუალო ურთიერთობა და მათ არასდროს ვპირდებოდი არაფერს ისეთს, რისი გაკეთებაც არ შემეძლო. ზოგადად, ასეთი დამოკიდებულება მაქვს – თუ შევპირდები ადამიანს, უნდა გავაკეთო. თუ არ შემიძლია გაკეთება, არ ვპირდები და ადამიანურად ვუხსნი მიზეზებს.

რაც შეეხება საკრებულოს. მოგეხსენებათ, 2017 წლის არჩევნების შემდეგ, ბორჯომის საკრებულო ოპოზიციური იყო. დაახლოებით, ნახევარ წელიწადზე მეტი პარალიზებული იყო მუნიციპალიტეტი. 2018 წელს, როგორც კი ვითარება დამშვიდდა, მივიღეთ გადაწყვეტილება, სოციალურ ბიუჯეტში შესულიყო ცვლილება, რომლის თანახმად, საყოველთაო დაზღვევისას მოქალაქის გადასახდელი თანადაფინანსების 70%-ს ფარავს თვითმმართველობა. ანუ, უხეშად და პირობითად რომ დავიანგარიშოთ, გადასახდელი 10 ათასი ლარიდან დიდ ნაწილს ფარავს საყოველთაო დაზღვევა, ნაწილს ჩვენ და მოქალაქეს, მაქსიმუმ 1000 ლარის გადახდა უწევს. ასევე ვამაყობ, რომ მიმდინარე წელს მივიღეთ წარჩინებული სტუდენტების, ყოველი სემესტრის ბოლოს, 1000 ლარით წახალისების გადაწყვეტილება. მინდა, რომ მომავალში ამ პროგრამაში ყველა აკრედიტებული სასწავლებლის წარჩინებული სტუდენტები ჩავრთოთ. სტუდენტების წახალისება და ხელშეწყობა უმნიშვნელოვანესია, რათა მივიღოთ რაც შეიძლება მეტი განათლებული, კვალიფიციური კადრი. ჩვენ ძალიან კარგად ვთანამშრომლობდით მერიასთან და ვგეგმავთ სტუდენტების კიდევ ერთ წამახალისებელ პროგრამას – მსურველებს, ზაფხულის განმავლობაში ექნებათ შესაძლებლობა, დასაქმდნენ გარემოს დაცვის კუთხით, მაგალითად, დასუფთავებით სამუშაოებში.

**– დასაქმების სეზონური პროგრამის გარდა, ბორჯომში კვალიფიციური კადრებისთვის სამუშაო ადგილები არის?**

– ბორჯომი ტურისტული ქალაქია და ეს მიმართულება ჩვენ ქვეყანაში, პანდემიის მიუხედავად, ვითარდება. წესრიგდება ინფრასტრუქტურა. არაერთი კომპანიაა, რომელიც კვალიფიციურ მუშახელს ეძებს, დღიური 50-ლარიანი ანაზღაურებით. შეიძლება ითქვას, რომ სამუშაო ადგილებზე მეტად, კვალიფიციური მუშახელისა და კადრის დეფიციტია. ამ გამოწვევის წინაშე თვითმმართველობაც დგას, ამიტომ მინდა, წარჩინებული სტუდენტების სტაჟირება მოხდეს. პირადად მე, მზად ვარ, სამუშაო დღის მერე, დარჩენილი საათები ახალგაზრდებს დავუთმო, მათ ჩემი ცოდნა და გამოცდილება გავუზიარო.

**– პანდემია ახსენეთ და საინტერესოა, რამდენად ეფექტური იყო მისი მართვა მუნიციპალიტეტსა და ტურისტულ ქალაქ ბორჯომში?**

– პანდემიის დასაწყისიდანვე, ადგილობრივი ხელისუფლება მუშაობის 24-საათიან რეჟიმზე გადავიდა. მაქსიმალურად ვცდილობდით, მოსახლეობას დავხმარებოდით. ზოგადად, პანდემიამ ტურიზმზე მაინც იქონია გავლენა, მაგრამ რადგან ბორჯომში საუკეთესო ჰავაა და კოვიდ-19 დიდწილად სასუნთქ გზებს ვნებს, წელს, გასულ წელთან შედარებით, მეტი ვიზიტორი გვყავს. იმედია, ტურისტების რაოდენობა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. იმის იმედიც მაქვს, რომ ბორჯომი თავის უდიდეს პოტენციალს მაქსიმალურად გამოიყენებს. დღეს მისი მხოლოდ 30%-ია გამოყენებული (რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ ბორჯომის წყალს). ბორჯომი, მე-20 საუკუნის დასაწყისში არქიტექტურით, მენტალობით, იყო ევროპა საქართველოში. ამას ისიც ადასტურებს, რომ საქართველოში პირველი და ამიერკავკასიაში მეორე ჰიდროელექტროსადგური სწორედ აქ გვაქვს. დღეს მისი რეაბილიტირება მიმდინარეობს და არის კონცეფცია, ბორჯომი გადაიქცეს სამუზეუმო ქალაქად. მეც სწორედ ეს მიზანი მამოძრავებს.

**– ეს კარგია, მაგრამ ამისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურაა საჭირო. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასაც გეგმავთ?**

– სოფლებთან მისასვლელი გზების მოწესრიგება თითქმის დასრულებულია. არ ახსოვს ისტორიას, სოფელ ტაბაწყურთან ასფალტისსაფარიანი გზა ყოფილიყო და ამ პროექტს მალე დავამთავრებთ. გაზიფიცირების გარეშე დარჩენილია, დაახლოებით 11 სოფელი. პროექტი უახლოეს მომავალში დაიწყება. ეს სოფლები ბუნებრივი აირის ცენტრალური მაგისტრალიდან საკმაოდ დაშორებულია, მაგრამ ვფიქრობ, მომდევნო 4 წელიწადში, მათ გაზიფიცირებას დავასრულებთ. ასე რომ, სამომავლოდ, ბორჯომში ბევრი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას ვგეგმავთ. სხვათა შორის, ძალიან კარგი იქნება, ტურიზმის პარალელურად ბიომეურნეობების განვითარება. ჩვენს საოჯახო ბიზნესს, ეკოკოტეჯებს ჩემი მეუღლე მართავს და ძალიან კარგად ვიცით, დამსვენებლისთვის, კარგ გარემოში, სუფთა ჰაერზე დასვენების პარალელურად, რამდენად მნიშვნელოვანია ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტის მიღება. ტურისტების მხრიდან ბიოპროდუქტებზე მოთხოვნა დიდია და კარგი იქნება, თუ ადგილობრივები ამ მიმართულებით განვითარებაზე იფიქრებენ. გამარჯვების შემდეგ, მზად ვარ, მოსახლეობას ამ საკითხზეც ვესაუბრო და მიმართულებებიც მივცე.

**– ფიქრობთ, ამის შანსი მოგეცემათ და მხარდაჭერას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისგანაც ელით?**

– ჩვენი მუნიციპალიტეტი მრავალეთნიკურია. ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. დიდ სითბოს ვგრძნობ და მეც სიყვარულით ვპასუხობ. ზოგადად მოსახლეობის დიდ მხარდაჭერას ნამდვილად ვგრძნობ. დარწმუნებული ვარ, 2 ოქტომბერს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, დამაჯერებლად გავიმარჯვებ.

**– საკრებულოსა და მერიის თანამშრომლობის მნიშვნელობაზე უკვე ისაუბრეთ. იმაშიც დარწმუნებული ხართ, რომ ბორჯომის საკრებულო 2017 წლის გამოცდილებას არ გაიზიარებს და „ქართული ოცნება“ მასში უმრავლესობით იქნება წარმოდგენილი?**

– დიახ, დარწმუნებული ვარ, რადგან „ქართული ოცნება“ უალტერნატივო გუნდია.

# არბოლიშვილების წყვილის სამი სიამაყე და ოჯახური იდილია

მომავალი მეუღლე, მაკა მთიულიშვილი, ტიმოთესუბანში გაიცნო. მაშინ ბავშვები იყვნენ. მაკა ოთარის დისშვილის კლასელი გახლდათ. 3 წლით უმცროსი გოგო მოეწონა, მაგრამ ცხადია, იმ ასაკში დაქორწინებაზე არც უფიქრია. სკოლის დასრულების შემდეგ ოთარი თბილისში წავიდა სასწავლებლად, 3 წელში კი, მაკა, ამავე მიზნით, გერმანიაში გაფრინდა. ერთ-ერთი არდადეგების დროს, ერთმანეთს ისევ შეხვდნენ. ურთიერთობა სიყვარულში გადაიზარდა და 2007 წელს დაოჯახება გადაწყვიტეს. დღეს მაკა საოჯახო ბიზნესს მართავს, საოჯახო საქმეებსაც უძღვება და 3 ვაჟსაც ზრდის.

პირველი შვილი, ნიკოლოზი, 2008 წელს, აგვისტოს ომის დროს შეეძინათ. მომდევნო წელს ოჯახს იოანე შეემატა, ნაბოლარა შალვა კი 8 წლისაა. სამივე შვილის სახელს განსაკუთრებული დატვირთა აქვს: უფროსს სახელი წმინდა ნიკოლოზისა და დიდი პაპის პატივსაცემად დაარქვეს, შუათანა – იოანე ღვთისმეტყველის ხსენების წინა დღეს დაიბადა, უმცროსი კი, შალვა ახალციხელის მოსახელეა, რომელმაც ტიმოთესუბანში ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი ააგო.

კანდიდატი შვილებით ამაყობს. განსაკუთრებით ის მოსწონს, რომ ბიჭები ზრდილები და თავაზიანები არიან. უხარია, რომ ისინი სოფელში ცხოვრობენ და ბუნებასთან, გარემოსთან მუდმივი კავშირი აქვთ. მიაჩნია, რომ ეს ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე დიდ გავლენას ახდენს და სწორედ ამის დამსახურებაა, რომ ბიჭები ძალიან ლაღები, თავისუფლები არიან.

პანდემიამდე ცურვასა და სპორტის სხვადასხვა სახეობაზეც დადიოდნენ. პანდემიის დასრულების შემდეგ კი, თხილამურებით სრიალის შესწავლა სურთ. თუმცა სპორტზე მეტად ხელოვნება იტაცებს – როგორც ჩანს, თავის დროზე, პირველკლასელ შალვაზე, სკოლის გვერდით არსებული მუსიკალური სკოლიდან გამოსულმა ჰანგებმა შთაბეჭდილება მოახდინა და აიჩემა, პიანინოზე დაკვრა უნდა ვისწავლოო. მოგვიანებით, მუსიკით უფროსი ძმებიც დაინტერესდნენ – უკრავენ და მღერიან კიდეც.

ბიჭები ბაბუისა და მამის პროფესიითაც დაინტერესებულები არიან. სახლში თავისი პატარა სახელოსნოც აქვთ და ხეზე კვეთისთვის საჭირო ყველა ინსტრუმენტიც.

თავად კანდიდატის ჰობი თევზაობაა, ჯერჯერობით აუხდენელი ნატვრა კი – კამჩატკაზე ათდღიანი ტურის მოწყობა. თუმცა, შეგუებულია, რომ ნატვრას კიდევ მინიმუმ 4 წელი ვერ აისრულებს. ხუმრობს კიდეც, კამჩატკაზე კი არა, მგონი სახლშიც ვეღარ მოვალო. ხუმრობს იმაზეც, რომ მისი შინ ყოფნით ოჯახის წევრები არც აქამდე იყვნენ განებივრებული – სახლში სტუმარივით ვიყავიო, ამბობს. სხვათა შორის, ამის გამო, უფროსმა შვილმა არჩევნებში მონაწილეობის გადაწყვეტილება დიდად არ მოუწონა და უთხრა – მამი, არ გინდა, სახლში დაბრუნდეო?

„შინ დაბრუნება“ და ოჯახის წევრებთან ყოფნა მისთვის ყველაზე კომფორტულია. განსაკუთრებით ბედნიერი კი მაშინაა, როცა ბიჭები ხმებში გაშლიან „შავლეგოს“ – ნიკოლოზის, იოანესა და შალვას მიერ შესრულებული, სახალხო გმირ შალვა ახალციხელისთვის მიძღვნილი ეს სიმღერა, მასში განსაკუთრებულ პატრიოტულ სულისკვეთებას აღვივებს. ამ დროს საოცარი სიამაყე ეუფლება და რწმუნდება, რომ სირთულეებისა და მოუცლელობის მიუხედავად, სწორი გადაწყვეტილება მიიღო – რადგან აქვს გუნდის მხარდაჭერა, ნდობა და შანსი, ბორჯომის მერობისთვის აუცილებლად უნდა იბრძოლოს, გაიმარჯვოს და მშობლიურ მუნიციპალიტეტს ღირსეულად ემსახუროს.



ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**

**2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.**

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც  4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით **ბორჯომის მუნიციპალიტეტზე** გამოიყო 30 423 037 ლარი, დაფინანსდა 52 432 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (2 348 692,8 ლარი, 151 267 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (2 185 659 ლარი, 29 491 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (18 884 896 ლარი, 12 085 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (5 350 728 ლარი, 5279 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (1 451 672 ლარი, 2 477 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (1 172 597 ლარი, 2 335 შემთხვევა). 8000 ლარის ოდენობით გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიო/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი.

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა  და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში, ამ პროგრამით, ბორჯომის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 4 438 ბენეფიციარი (305 992 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **ბორჯომის მუნიციპალიტეტში** 88%-დან 95.7%-მდე გაიზარდა იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი.

**ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ბორჯომში,** სტაციონარული მკურნალობით 84-მა (224 896 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 698-მა პაციენტმა ( 66 831 ლარი) ისარგებლა.

**დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, **მუნიციპალიტეტში** ანტენატალური სერვისი მიიღო 3 801-მა (208 390 ლარი), საჭირო მედიკამენტები კი 916-მა ორსულმა. 2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ბორჯომის მუნიციპალიტეტიდან** მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო  567 პირი (104 167 ლარი).

**2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ბორჯომის მუნიციპალიტეტს 38 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

### ინფრასტრუქტურული პროექტები

**2014-2020 წლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:** დაბა ახალდაბაში ამბულატორიის შენობის საძირკველისა და ტერიტორიის **მოწყობა** (16 756 ლ); ამბულატორიის შენობების **რეაბილიტაცია** სოფლებში: ქობისხევი (5 774 ლ), დვირი (23 895 ლ), ტაძრისი (43 718 ლ), ქვაბისხევი (24 804,0 ლ), ტაბაწყური (21 576,0 ლ), დაბა წაღვერი (16 119 ლ); ამბულატორიების **მშენებლობა** სოფლებში ბალანთა-ქიხარულა (110 000,0 ლ), ციხისჯვარი (105 501 ლ), ტბა (89 700 ლ), ყვიბისი (88 219 ლ). 2017 წელს დასრულდა ქ. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრები აშენდა ქ. ბორჯომში (114 770 ლ) და დაბა ბაკურიანში (268 168 ლარი).

**ქ. ბორჯომში** განხორციელდა იძულებით გადაადგილებულ პირთა ბინების რეაბილიტაცია: ვაშლოვანის ქ. №4, (64 ბინა, სრული რეაბილიტაცია – 1 736 182l), მესხეთის ქ. №63, „ლიკანი 2“, „ლიკანი 3“, სანატორიუმი „ბორჯომი“ შპს „ბერმუხა“, (ნაწილ.რეაბილიტაცია – 211 506 ლარი). მესხეთის ქ. №133 (ნაწილ. რეაბილიტაცია 60 000 ლარი). განხორციელდა ყოფილი საავადმყოფოების შენობების რეაბილიტაცია იძულებით გადაადგილებულ პირთა ბინების მოსაწყობად **(ბორჯომი და კასპი** – 4 925 175 ლ).

**2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება 2,2,-ჯერ გაიზარდა, ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები და არაფინანსური აქტივები – 69,0 ათასიდან 149,6 ათას ლარამდე.**

**მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება** სამედიცინო მომსახურების დაფინანასება, რომლის ფარგლებშიც ფინანსდება სადიაგნოსტიკო გამოკვლევები, გეგმური და ურგენტული ოპერაციების თანადაფინანსება/დაფინანსება. ონკოლოგიური დაავადებათა მქონე მოქალაქეთა მკურნალობის (მათ შორის მედიკამენტოზური მკურნალობის) თანადაფინანსება/დაფინანსება. მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება. თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა დახმარება. მოსახლეობის სამედიცინო მკურნალობის დაფინანსება.

**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:**

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებზე და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები.



დაბა ბაკურიანის სასწრაფო დახმარების ცენტრი

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

# სოციალური დაცვა

**2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის საპენსიო ასაკის პირთა პენსია 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ბორჯომის მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო პენსიის მიმღებია (2021 წლის 1 აპრილის მდგომარეობით) 6286 პირი. 2012 წლის შემდეგ 2,3-ჯერ, 7 239 118-დან 17 121 130 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში მუნიციპალიტეტის **ასაკით პენსიონერთა** საპენსიო ანაზღაურებაზე სულ 106 688 399 ლარი დაიხარჯა. 2013 წლიდან დაზუსტდა სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ბორჯომის მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებია (2020 წლის აპრილის მდგომარეობით) 111 პირი. 2012 წლის შემდეგ, სახელმწიფო კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 3,6-ჯერ - 168 784-დან 639 709 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში გაცემულია სულ 4 340 170 ლარი. **მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვა შემწეობები. **ბორჯომის მუნიციპალიტეტში** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 691 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომარეობით). 2012 წლის შემდეგ, საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი 2,1-ჯერ – 720 ათასიდან 1480 ათას ლარამდე გაიზარდა 2013-2021 წლებში, საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 11 329 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 2574 ათასი, შშმ პირებზე – 1237 ათასი, ბავშვებზე – 4242 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – ბორჯომში სოციალური პაკეტით სარგებლობს 1300 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომარეობით), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი თითქმის 5-ჯერ – 455 925-დან 2 221 036 ლარამდე გაიზარდა და, 2013-2021 წლებში, სულ 15 674 291 ლარი დაიხარჯა. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) **ბორჯომში** დაფინანსებულია 166 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომარეობით), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 1 110 850 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 269 000 ლარი. **ბორჯომის მუნიციპალიტეტში 1479 დევნილია** (01.014.2021 წ. მდგომარეობით). 2012 წლის შემდეგ, შემწეობებზე გაწეული ხარჯი 426 286 ლარიდან 831 015 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ 6 437 177 ლარი დაიხარჯა. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (2021 წლის ივლისის მონაცემებით), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **ბორჯომის მუნიციპალიტეტში – 322 ოჯახს, კერძოდ:** 178 დევნილ ოჯახს გადაეცა ბინა ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში, „სოფლად სახლის" პროექტის ფარგლებში სახელმწიფომ სახლი 32 დევნილ ოჯახს შეუსყიდა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი მასში მცხოვრებ 363 დევნილ ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება.

**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან ბორჯომის მუნიციპალიტეტისთვის – 1 236 060 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად (1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ). 2020 წელს, პროგრამაში, **ბორჯომის** მუნიციპალიტეტში, ჩართული იყო 547, 2021 წელს – 616 ოჯახი. **ყოველთვიური დახმარება** (თვეში 100 ლარი) განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, **ბორჯომში,** 2020 წელს 118-მა, 2021 წელს (ივნისის მონაცემებით) – 140-მა ოჯახმა ისარგებლა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** დამატებით გამოყოფილია 100 ლარი, ბორჯომში, 2020 წელს 322-მა, 2021 წელს კი (ივნისის მონაცემებით) დახმარება მიიღო 320-მა პირმა.

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის** დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი -2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

**2020 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 660,3 ათასი ლარი შეადგინა.**

**მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა,** მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარების, სოციალურად დაუცველი პირების, უსახლკაროების კვებით უზრუნველყოფა, ხანძრით დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება, იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარება, ქალაქ ახალციხეში მგზავრთა გადაყვანის შეღავათის პროგრამა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახების სოციალური დახმარება, ახალციხის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების თანადაფინანსება, ახალციხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლებში სოციალური შეღავათების მქონე პირთა? შვი?ლებისათვის სოციალური დახმარება და სხვ.

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილნი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.



# განათლება

**განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.**

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.



სოფელ დვირის ახლად აშენებული ბაღი

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

## სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.**

**ბორჯომში ფუნქციონირებს 11 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, მათგან 4 – ქ. ბორჯომში, ხოლო 7 – სოფლად. 11 საბავშვო ბაღიდან 2 არის – დაბა წაღვერსა და დაბა ახალდაბაში. ფუნქციონირებს, აგრეთვე, საბავშვო ბაღი დაბა ბაკურიანში, რომელიც ცალკე ა(ა)იპ -ია.**

**2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო.** ბორჯომში მნიშვნელოვნად **გაიზარდა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება:** 2020 წელს, მუნიციპალიტეტის მიერ განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 2,164.8 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს შესაბამისი მაჩვენებელი 555.6 ათასი ლარი იყო. ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავლის“ 2021 წლის ბიუჯეტი შეადგენს 218 800 ლარს.

**2014-2021 წლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ საბავშვო ბაგა-ბაღებს** (ბორჯომის №1 ბაღის, №1 ბაგა-ბაღის, №3, და №4, ვარდიგენის, ყვიბისის, ახალდაბის, წაღვერის, ბაკურიანის (ბაკურიანის საბავშვო ბაღი გადასულია ნაქირავებ შენობაში, რადგან ბაღის შენობაში არ იყო დაცული უსაფრთხოების შესაბამისი ზომები), ქობისხევის საბავშვო ბაგა-ბაღებს), ასევე ახალი საბავშვო ბაღი აშენდა სოფ. დვირში. განხორციელებულ სამუშაოებზე, ჯამურად 2 მლნ 505,8 ათასი ლარი დაიხარჯა. **მათ შორის:** 2021 წელს დაგეგმილია დაბა ახალდაბის, წაღვერის, სოფ. ვარდგინეთის, ყვიბისის, ქ. ბორჯომის №1, №3, №4 ბაგა-ბაღებში საქვაბეების შენობის გარეთ გამოტანა (260,0 ათასი ლარი); უზრუნველყოფილია სოფ. ქვაბისხევის აღსაზრდელების ტრანსპორტირება დვირის ბაღში. **2021 წელს** დაწესებულებების კვების ბლოკებში **მიმდინარეობს** „საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის (HACCP) დანერგვა(გამოცხადებულია ტენდერი).

**შესრულებული სამუშაოების შედეგად** 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღებში **აღსაზრდელთა რაოდენობა 350-დან 915-მდე გაიზარდა.** 2013-2021 წლებში, მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში **კვების თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე 1,1-დან 3 ლარამდე გაიზარდა, რითაც ბავშვების კვების რაციონი მნიშვნელოვნად გაფართოვდა და სრულფასოვანი გახდა. **სასკოლო მზაობის პროგრამა** დანერგილია საბავშვო ბაღებისა და ალტერანტიული ცენტრების **31 ჯგუფში, მათ შორის – 14 საბავშვო ბაღში,** სადაც 280 ბავშვი ირიცხება და დასაქმებულია 113 აღმზრდელ-პედაგოგი. **ექიმის კაბინეტი** ფუნქციონირებს ყველა საბავშვო ბაღში, ქ. ბორჯომის 4 ბაღში დასაქმებულია თითო **ფსიქოლოგი, სპეც. პედაგოგი და ლოგოპედი.**

**2020 წელს განხორციელდა** დისტანციური სწავლების მოდული, აღსაზრდელების ონლაინრეგისტრაცია. პანდემიის გამო შეჩერდა სააღმზრდელო პროცესი, ყოველთვე გაიცემოდა სასურსათო პაკეტები თითოეულ აღსაზრდელზე. ასევე ერთჯერადად გაიცა საკანცელარიო ნივთები სასკოლო მზაობის ჯგუფის ყველა

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

აღსაზრდელისთვის, რათა მომხდარიყო დისტანციური სწავლების მოდულში მათი სრულფასოვანი ჩართვა. საბავშვო ბაღები აღიჭურვა კომპიუტერებით. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში დასაქმებულია **60** აღმზრდელი. აღმზრდელი-პედაგოგის სასერტიფიკატო ტრენინგის ფარგლებში, გადამზადდა 25 აღმზრდელი.

## ზოგადი განათლება

**ბორჯომის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში არსებული 20 საჯარო სკოლა (აქედან ქალაქში – 5, დაბაში – 3, სოფლად – 12, მათ შორის – 10 მთის სტატუსის მქონე დასახლებებში), სადაც დღეისათვის სულ 3 581 მოსწავლე და 428 მასწავლებელია. დასაქმებულია 18 სპეციალური მასწავლებელი.** 2020 წლის მაისის მდგომარეობით, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) 61 მოსწავლეა იდენტიფიცირებული. 2021 წლის მდგომარეობით, 58 შშმ მოსწავლე. 5 საჯარო სკოლას 10 **მანდატური** ემსახურება. 2015-2020 წლებში, პროგრამით „ბავშვთა მიმართ ძალადობა – გადამისამართების პროცედურები ბავშვთა დაცვის საჭიროების შემთხვევებში“, საქართველოს მასშტაბით, ყველა მანდატური გადამზადდა, იმ სკოლებში კი სადაც მანდატურები არ არიან, რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირია დირექტორი.

**2013-2020 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ არაერთი პროგრამა განახორციელა, მათ შორის:** 2017-2021 წ.წ. პროგრამით **„წარჩინებულ მოსწავლეთა მედლები“** გამოვლინდა 135 ოქროსა და 45 ვერცხლის მედალოსანი; პროგრამაში **„საზაფხულო სკოლები“** 209 მოსწავლე მონაწილეობდა, ხოლო **სასკოლო კონკურსებში –** 236 მოსწავლე (გაიმარჯვა 1-მა მოსწავლემ); **საჯარო სკოლის ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამით** 5 საჯარო სკოლის (6 მიმართულება) 138 მოსწავლე სარგებლობს; **ექიმის კაბინეტი** ფუნქციონირებს 6 საჯარო სკოლაში; 2017-2019 წლებში, **უფასოდ** გაიცა 86 491 **სახელმძღვანელო** და რვეული; 2017-2020 წლებში – 851 **სასკოლო ჟურნალი**; პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“** პორტაბელური კომპიუტერი გადაეცა 934 პირველკლასელს, 51 დამრიგებელსა და 98 წარჩინებულ მოსწავლეს; **სასკოლო აქტივობების ხელშესაწყობად** დაფინანსდა 103 პროექტი; **ინტელექტ-ჩემპიონატებში** მონაწილეობდა 1 014 მოსწავლე, **ეროვნულ ოლიმპიადებში** – 835, **სასკოლო სპორტული ოლიმპიადებში –** 620. **ოპტიკური კავშირით და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** უზრუნველყოფილია 20 სკოლა; **რადიოტექნოლოგიით და გაუმჯობესებული კავშირის** სიჩქარით – 20, კორპორატიული სტანდარტის **უსადენო ქსელით** 5; **პროფესიული უნარების კურსები** დანერგილია 6 სკოლაში; 2017 – 2019 წლებში, **ახალი სკოლის მოდელის** ფარგლებში, კომპიუტერები გადაეცა სოფელ ტაძრისის, დაბა წაღვერისა და ბორჯომის №3 საჯარო სკოლებს. პროგრამით **„ასწავლე საქართველოსთვის“** ტრენინგმოდულები გაიარეს **მასწავლებლებმა.**

2013-2021 წლებში, **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით,** განხორციელდა 2 სკოლის **სრული რეაბილიტაცია** და 19 სკოლის **ნაწილობრივი სარეაბილიტაციო** სამუშაოები, რისთვისაც დახარჯულია **1 მლნ 250 ათასი ლარი,** მათ შორის: **2013 წელს** ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 8 საჯარო სკოლას (ბორჯომის №6, ჭობისხევის, დვირის, ქვაბისხევის, კორტანეთის, ლიკანის, რველისა და ყვიბისის საჯარო სკოლები), რაზეც სულ 393,7 ათასი ლარი დაიხარჯა; **2014 წელს** ქ. ბორჯომის №1 საჯარო სკოლაში მოეწყო სამედიცინო ოთახი (4,9 ათასი ლარი); **2015 წელს** განხორციელდა 3 საჯარო სკოლის (ქ.ბორჯომში №1 საჯარო სკოლის, ტაძრისისა და ბაკურიანის საჯარო სკოლები) ნაწილობრივი რეაბილიტაცია, მოეწყო სამედიცინო ოთახი (სულ 241,9 ათასი ლარი); **2017 წელს** განხორციელდა დაბა ახალდაბაში, საჯარო სკოლის შენობის ელექტროობის (36,9 ათასი ლ); ბორჯომის №6 საჯარო სკოლის სპორტული მოედნის (37 ათასი ლ) და სოფ. ყვიბისის საჯარო სკოლის შენობის (18,6 ათასი ლ) რეაბილიტაცია.

**2019 წელს** ახალდაბისა და სოფ. ტაძრისის საჯარო სკოლაში დასრულდა შიდასარეაბილიტაციო სამუშაოები (130,9 ათასი ლ); ასევე 2019 წელს, სკოლების სახელმწიფო პროგრამით, განხორციელდა **სველი წერტილების რეაბილიტაცია და მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები შემდეგ საჯარო სკოლებში:** ტაძრისის, ჭობისხევისა და დვირის, ბორჯომის №1, №6, №3, №4 და კორტანეთის, რველის, ქვაბისხევისა და დაბა ახალდაბის საჯარო სკოლები (527,7 ათასი ლარი); **ადაპტირებულია** 11 საჯარო სკოლა; **ცენტრალური გათბობა** ბუნებრივ აირზე მოეწყო 15 საჯარო სკოლაში; 2 სკოლაში ცენტრალური გათბობა მუშაობს შეშაზე; 3 სკოლა თბება ღუმლით;

2020 წელს, სკოლების სახელმწიფო პროგრამით, რეაბილიტირდა ტაბაწყურის საჯარო სკოლის სველი წერტილები, რაზეც 78,2 ათასი ლარი დაიხარჯა ; **ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის** პროგრამა ხორციელდება 1 საჯარო სკოლაში;

## პროფესიული განათლება

2020 წელს, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაიწყო ახალი პროფესიული კოლეჯის მშენებლობა, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით მიმდინარეობს და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ახორციელებს. **პროექტის ღირებულება 10 მილიონამდე ლარია.**

კოლეჯში სადიპლომო პროგრამებთან ერთად დაინერგება როგორც მოკლევადიანი, ისე მომზადება-გადამზადების კურსები ზრდასრულებისთვის. ძირითადი აქცენტი გაკეთდება ტურიზმისა და მასპინძლობის მიმართულებებსა და რეგიონისთვის მნიშვნელოვან ისეთ პროფესიებზე, როგორიცაა სატყეო საქმე, ხის გადამუშავება და სხვა. კოლეჯში ლაბორატორიები აღიჭურვება უახლესი ტექნიკით, მოეწყობა თეორიული სწავლების აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა, კაფეტერია, ღია სპორტული მოედანი და სარეკრეაციო სივრცე. შენობა სრულად იქნება ადაპტირებული შშმ პირებისთვის. კოლეჯი აქტიურად ითანამშრომლებს როგორც ადგილობრივ თვითმმართველობასთან, ასევე კერძო სექტორთან.

**ახალი პროფესიული სასწავლებელის მშენებლობა 2022 წელს დასრულდება.**

## უმაღლესი განათლება

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე.

**უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით,** 2018 წლიდან **სოციალური პროგრამის ფარგლებში, დაფინანსება მოიცავს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის 6 მუნიციპალიტეტის – ადიგენი, ასპინძა, ახალციხე, ახალქალაქი, ბორჯომი და ნინოწმინდა –** მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების სკოლის კურსდამთვრებულებს. 2018-2019 სასწავლო წელს, სამცხე ჯავახეთის რეგიონიდან, დაფინანსდა 79 სტუდენტი, 2019-2020 სასწავლო წელს – 79 სტუდენტი, 2020-2021 სასწავლო წელს – 79 სტუდენტი.

## „ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება სკოლამდელი აღზდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება.
- 2022-2023 წლებში დაგეგმილია „აღმზრდელი პედაგოგის სასერტიფიკატო ტრენინგები“, გადამზადდება აღმზრდელი, მუსიკის პედაგოგი (ჯამურად 60 თანამშრომელი). ასევე, გადამზადდება აღმზრდელის თანაშემწე სპეცპედაგოგი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი (ჯამურად 28 თანამშრომელი).
- ოთხი წლის განმავლობაში ა(ა) იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების **გაერთიანება „ჯანმრთელი მომავლის“** შემადგენლობაში შემავალ ყველა საბავშვო ბაღს ეყოლება სერტიფიცირებული აღმზრდელი-პედაგოგი და აღმზრდელი, მათზე კანონის შესაბამისად განხორციელდება ხელფასების მატება.
- 2021 წელს დაიწყო პროფესიული განვითარების ტრენინგები აღმზრდელებისთვის და თანაშემწეებისთვის, რომელიც დასრულდება 2022 წელს.
- განხორციელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის: დაგეგმილია საბავშვო ბაღის მშენებლობა დაბა ბაკურიანში **(1,2 მლნ ლარი);** საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია ციხისჯვარში, ჭობისხევსა და სოფელ ტბაში (271,3 ათასი ლარი); საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ბორჯომში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა არაქართულენოვან სკოლებში ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშეწყობას ბილინგვური განათლების მიდგომის გამოყენებით, რაც საშუალებას მისცემს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელ ყველა ბავშვს შეისწავლოს მშობლიური და სახელმწიფო ენები სრულფასოვნად, ასევე, განივითაროს ყველა ის უნარი, რომელიც საჭიროა თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირებისთვის.
- **განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის:** მუნიციპალური განვითრების ფონდის მიერ დაგეგმილია ბორჯომის №4 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია (2 მლნ 191 ათასი ლ); დაბა წაღვერის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია და 5 სკოლის (დვირის, ახალდაბის, ტაბაწყურის, ციხისჯვარისა და ტაძრისის საჯარო სკოლები) პროექტირება/ნაწილობრივი რეაბილიტაცია;
- **ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილია შემდეგი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, იგეგმება:** დაბა ახალდაბის საჯარო სკოლის შიდა სრული რეაბილიტაცია (200 ათასი ლ); №3 საჯარო სკოლის ფასადის რეაბილიტაცია (60 ათასი ლ); №1 საჯარო სკოლის შიდა სრული რეაბილიტაცია (90 ათასი ლ); სოფ. რველის საჯარო სკოლის მიმდებარე გზის გამყოლი კედელისა და ღობის (40 ათასი ლ), სოფ. ტაბაწყურის საჯარო სკოლის სველი წერტილების (40 ათასი ლ), ტაძრისში საჯარო სკოლის შიდა რეაბილიტაციის სამუშაოები (30 ათასი ლ); სოფელ კორტანეთის საჯარო სკოლის ეზოს შემოღობვა (40 ათასი ლ);
- ახალგაზრდობის მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში, კულტურის, ხელოვნების, ერუდიციის, განათლებისა და სპორტის სფეროში წარმატებული ახალგაზრდების ხელშეწყობისა და მაღალი მოსწრების სტუდენტების (ბაკალავრი) წახალისების მიზნით, ჯილდო გაიცემა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებულ სტუდენტებზე. აღნიშნული პროექტი გაგრძელდება და გაფართოვდება – დაჯილდოება გავრცელდება კერძო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებზეც.
- 2022 წელს დასრულდება ბორჯომის ახალი კოლეჯის მშენებლობა.
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების **ხელმისაწვდომობა,** შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის **დაფინანსების ახალი მოდელი**, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების **ხარისხის** განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების **სტრატეგიული გეგმა**, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**

## კულტურა

**ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები:** ცენტრალური ბიბლიოთეკა, 2 საბავშვო ბიბლიოთეკა, 6 საქალაქო და 14 სასოფლო ბიბლიოთეკა, შოთა რუსთაველის სახელობის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი, სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. სსიპ ბორჯომის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი.

2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში კულტურის სფეროს ხარჯები 743 ათასი ლარიდან 3 მლნ ლარამდე გაიზარდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა **საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში.** მუნიციპალიტეტში ეწყობა მხატვრული ნამუშევრების გამოფენები და წიგნების პრეზენტაციები, ტარდება ლიტერატურული საღამოები, კონცერტები, ბავშვთა ხელოვნების ფესტივალები და სხვა კულტურული ღონისძიებები.

**2014-2021 წლებში, განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები:** სოფელ ტაძრისში სპორტული და კულტურული დანიშნულების შენობის მშენებლობის სამუშაოები და დაბა წაღვერში ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია (137,3 ათასი ლ); რეაბილიტაცია ჩაუტარდა ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრს (143,7 ათასი ლ) და თორის ქუჩაზე მდებარე ბიბლიოთეკას (6, 2 ათასი ლ); **დაბა** ბაკურიანში განხორციელდა მუსიკალური სკოლის შენობის შიდასარეაბილიტაციო სამუშაოები და ცენტრალური გათბობის მონტაჟი (55 000 ლ); სოფ.ქიხარულას (24 ათასი ლ) და დვირის (37,9 ათასი ლ) კლუბების სახურავების, დაბა წაღვერის კულტურის სახლის (**915,4 ათასი ლ)** რეაბილიტაცია. **2020-2021 წლებში განხორციელდა:** ქ. ბორჯომში, თორის ქ. ორთქმავალი „გუგულის“ ძეგლის რეაბილიტაცია (9,6 ათასი ლ); სოფ. ქობისხევში, არქეოლოგიური უბნის (გოგიჩაანთ ღელის და ნადიკვრების) შემოღობვა (11,4 ათასი ლ); ქ. ბორჯომში, ლიეტუველი დრამატურგის ანტანას ვილკუტაიტის კეტურაკისის ბიუსტის აღსამართად კვარცხლბეკის მოწყობა (11,4 ათასი ლ); ბორჯომის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაცია (410 832 ლ), ბორჯომში მუსიკალური სკოლის შენობის სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები (537,7 ათასი ლარი, 2020 წ. რეგ. ფონდი – 514 493 ლარი); სოფელ ტაძრისის რიტუალების სახლის II სართულისა და ბიბლიოთეკის შენობის I სართულის რეაბილიტაცია (66,5 ათასი ლ); ბორჯომში, აღმაშენებლის ქ. №31-ში, დღის ცენტრის – „თებეს“ ფართის რეაბილიტაცია (15,2 ათასი ლარი). **2021 წელს მიმდინარეობს:** ბორჯომში, კავალერიის შენობის რესტავრაცია და მუზეუმად ადაპტაცია (3 მლნ 33, 9 ათასი ლ); მუსიკალური სკოლის რეაბილიტაცია (616, 8 ათასი ლ); ჰიდროელექტროსადგურის შენობის რეაბილიტაცია ინდუსტრიული მემკვიდრეობის მუზეუმისთვის.



სამუსიკო სკოლა

**მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შემდეგი პროექტები განახორციელა:** ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობის პროექტირება და მუზეუმისთვის ტრიპლეტების დამზადება/ ბორჯომის თოჯინების თეატრის ხელშეწყობა სადადგმო და საგასტროლო ხარჯით, პროექტის „სიყვარულის გზით“ ხელშეწყობა (სულ დაიხარჯა 80 ათასი ლარი). 2018 წელს ჩატარდა ნეძვის მონასტრის არქეოლოგია; ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობის რეაბილიტაცია I ეტაპი; **2019-2020 წლებში შემუშავდა:** სოფ. დვირში, საკვირიკის ნასოფლარი. ბაზილიკის ინტერიერში კედლის მხატვრობის დროებითი დამცავი გადახურვის მოწყობის პროექტი; ქ. ბორჯომი, წმ. ნინოს №5-ში მდებარე მხარეთმცონეობის მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტის კორექტირება; ბორჯომის პარკში, ბორჯომის ელექტროსადგურის რეაბილიტაციის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი; განხორციელდა სოფ. ტიმოთესუბანში მდებარე, ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის დროებითი გადახურვის მოწყობისა და სახურავის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები; 2021 წელს გრძელდება ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაცია.

საქართველოს მასშტაბით, მათ შორის **ბორჯომის მუნიციპალიტეტში, კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით,** 2019 წელს განხორციელდა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტები „უძველესი ცივილიზაციების კვალდაკვალ“ (9,825 ლ.) და „მოდერნის სტილის არქიტექტურული მემკვიდრეობის კვლევა საქართველოში – გამოვლენა, აღრიცხა და შესწავლა“ (19 750 ლ), ბორჯომის მუნიციპალიტეტს ფარავს **ევროპის საბჭოს „ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი“ და სამინისტროს სერტიფიცირებული მარშრუტი** „წმ. ანდრიას გზა“, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასა და კულტურული ტურიზმის განვითარებას.

**2020 წელს,** სსიპ შემოქმედებითი საქართველოს მიერ გამოცხადებული კონკურსის, „თანამედროვე ხელოვნების ფესტივალები“, ფარგლებში, დაფინანსდა პროექტი – თენგიზ ამირეჯიბის სახელობის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი (22 643 ლ); 2021 წლის ოქტომბერში, დაგეგმილია „თ. ამირეჯიბის სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის“ ჩატარება (30 000 ლ).

## სპორტი

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სასპორტო სკოლა. 2013-2017 წლებში სასპორტო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა 380-დან 525-მდე გაიზარდა.**

2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით **სპორტის სფეროს ხარჯები 304 300-დან 1 მლნ ლარამდე გაიზარდა.**

**მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული სპორტის სახეობებია:** ძიუდო, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, კიკბოქსი, კარატე, ფეხბურთი, რაგბი, კალათბურთი, კრივი, მძლეოსნობა, ჭადრაკი, ყინულის ჰოკეი, ბიატლონი, ტრამპლინიდან ხტომა, ქართული ჭიდაობა, ჯომარდობა, საციგაო და სამთო-სთხილამურო სპორტის სახეობები. ტაძრისში და ახალდაბაში შეიქმნა ძიუდოს წრეები. ბორჯომის მუნიციპალიტეტის სპორტსმენები ყოველწლიურად მონაწილეობენ და საპრიზო ადგილებს იკავებენ სპორტის სხვადასხვა სახეობებში – მუნიციპალიტეტს ჰყავს საქართველოს და ევროპის ჩემპიონები ჭადრაკში, ძიუდოში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, მძლეოსნობაში. მუნიციპალიტეტის მერია ყოველ წარმატებულ სპორტსმენს გადასცემს ფულად ჯილდოს. ბორჯომში ხორციელდება მაღალმთიან დასახლებებში მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა.

**2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები:** მათ შორის. 2017 წელს ქ. ბორჯომში მოეწყო 3 სპორტული მოედანი (149,7 ათასი ლარი); განხორციელდა ქ. ბორჯომში №1 სკოლის მიმდებარედ სპორტული მოედნის რეაბილიტაცია (21,9 ათასი ლარი);

**2018 წელს ახალი სპორტული მოედნები მოეწყო:** ტიმოთესუბანში (33,8 ათასი ლარი) და ანდეზიტში (83,2 ათასი ლარი); რეაბილიტაცია ჩაუტარდა კორტანეთისა (58,7 ათასი ლარი) და ბეშეთის (32 ათასი ლარი) სპორტულ მოედნებს;

**2019 წელს ახალი სპორტული მოედნები მოეწყო სოფლებში:** დვირი, ჩითახევი, ტაბაწყური, რველი, ყვიბისი, დაბა ახალდაბაში, დაბა ბაკურიანში, ქ. ბორჯომში – წმ ნინოს ქ.№2, ახალ უბანში, რუსთაველის ქ№107, საბარგოს ქუჩაზე (517,4 ათასი ლარი); სოფელ ქობისხევსა და ცემში ახალი სპორტული მოედნების მოწყობა 112,9 ათასი ლარით დაფინანსდა; **გარესავარჯიშო მოწყობილობები დამონტაჟდა** ქ. ბორჯომსა და სოფელ ტაბაწყურში (5 ლოკაცია) – 92 ათასი ლარი; დაბა ბაკურიანში (5 ლოკაცი) – 92 ათასი ლარი; ქ. ბორჯომსა და დაბა წაღვერში (5 ლოკაცია) – 92,1 ათასი ლარი; სოფელ ქობისხევის სკოლის ეზოში – 18,4 ათასი ლარი.

**2020 წელს,** დაბა ახალდაბაში, სპორტკომპლექსის მიმდებრე ტერიტორიაზე, მოეწყო გასახდელი და სველი წერტილები (26,2 ათასი ლ); ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოეწყო 6 სპორტული მოედანი (338 ათასი ლარი); ბორჯომში, მესხეთის ქუჩის მიმდებარედ, მოეწყო კალათბურთის სამფარიანი სივრცე (19,5 ათასი ლარი); გარესავარჯიშო მოწყობილობები დამონტაჟდა ბორჯომში, 9 ლოკაციაზე (169,7 ათასი ლარი);

**სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში,** 7 სოფელში (სადგერი, დაბა, მზეთამზე, ვარდგინეთი, ზანავი, ჩითახევი, ქვაბისხევი) დამონტაჟდა გარესავარჯიშო მოწყობილობები (140 ათასი ლარი); განხორციელდა ქ. ბორჯომსა და სოფელ ტბაში გარეგამოყენების ფიტნესის ტრენაჟორების, საჩრდილობელი ფანჩატურისა და მოედნის მოწყობის სახელმწიფო შესყიდვა/მონტაჟი (47,5 ათასი ლარი).

2013-2021 წლებში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა, ბორჯომის მუნიციპალიტეტში 14 შიდაჩემპიონატი (143,6 ათასი ლარი), 1 საერთაშორისო ტურნირი (128 ათასი ლარი) და 180 სასწავლო საწვრთნელი შეკრება (4 მლნ 770 ათასი ლარი) ჩაატარეს. სამინისტრომ დააფინანსა ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა (27,5 ათასი ლარი) და, 2020 წელს მუნიციპალიტეტს გადასცა სპორტული ინვენტარი და ეკიპირება (10 ათასი ლარი).

გასულ წლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, გაიმართა მნიშვნელოვანი **სპორტული ღონისძიებები:** 2018 წელს საქართველოს თასის გათამაშება სამთო-თხილამურებში; 2019 წელს საქართველოს თასის გათამაშება სამთო-თხილამურებსა და სნოუბორდ კროსში; **2021**

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

**წელს** გაიმართება საქართველოს ჩემპიონატი ტრამპლინიდან ხტომაში; გაიმართება, აგრეთვე **საერთაშორისო ტურნირები:** მსოფლიო თასის გათამაშება სკი კროსში; მსოფლიო თასის გათამაშება სნოუბორდ კროსში; მსოფლიო თასი გათამაშება თხილამურებით სრიალში.

**2013-2021 წლებში** განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში, სპორტის მიმართულებით განხორციელებულ სხვადასხვა ღონისძიებაში 1 მლნ ლარი დაიხარჯა.

### ახალგაზრდული პოლიტიკა

2017-2021 წლებში ახალგაზრდობის სფეროში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა: ჯომარდობის ტურნირი (სულ 54 მონაწილე); „საქართველოს თასი ლაშქრობაში“; ინკლუზიური ჯომარდობის ტურნირი, სადაც მონაწილეობდნენ 4 რეგიონის დღის ცენტრის მოსარგებლეები, ცნობილ სახეებთან ერთად (სულ 50 მონაწილე).

2017-2020 წლებში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციისა და სხვადასხვა სახეობის სპორტულ და გასართობ-შემეცნებით პროექტებზე დაიხარჯა – **1 მლნ 110,6 ათასი** ლარი;

ხორციელდება **ახალგაზრდობის მხარდაჭერის ქვეპროგრამა,** რომლის ფარგლებშიც, კულტურის, ხელოვნების, ერუდიციის, განათლებისა და სპორტის სფეროში წარმატებული ახალგაზრდების ხელშეწყობისა და მაღალი მოსწრების სტუდენტების (ბაკალავრი) წახალისების მიზნით, ჯილდო გაიცემა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებულ სტუდენტებზე. აღნიშნული პროექტი გაგრძელდება და გაფართოვდება – დაჯილდოება გავრცელდება კერძო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებზეც.

2019 წლიდან მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტს დაემატა ახალგაზრდობის მხარდაჭერის ქვეპროგრამის ბიუჯეტი, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი.

2021 წლის პირველ კვარტალში ჩატარდა ახალგაზრდების საჭიროების კვლევა; მე-2 კვარტალში დასრულდება ადგილობრივ ახალგაზრდულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე მუშაობა.

**მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით ბორჯომის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის; ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- გაგრძელდება ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაცია – 2,5 მლნ ლარი;
- დაგეგმილია: სოფელ ცემისა და რველის ბიბლიოთეკების სახურავების შეკეთება (110 ათასი ლარი); ბალანთის ბიბლიოთეკის რებილიტაცია; შეკეთდება ქვაბისხევის ბიბლიოთეკის შენობა; გარემონტდება სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკა, აგრეთვე – ახალდაბის, რველისა და ანდეზიტის ბიბლიოთეკები; დაგეგმილია ბორჯომის მუსიკალური სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 616,8 ათასი ლარი;
- დაგეგმილია საბავშვო ბიბლიოთეკაში სველი წერტილების მოწყობა, იატაკის შეცვლა, კოსმეტიკირური რემონტი. ასევე შენობის სახურავისა და ფასადის რეაბილიტაცია – 300 ათასი ლარი;
- დაბა ახალდაბაში, რუსთაველის ქუჩაზე, კულტურის ცენტრის შენობის რეაბილიტაცია – 300,2 ათასი ლარი (მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, რეგ. ფონდი 2021 წ.) ;
- ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის შენობის რეაბილიტაცია – 1,5 მლნ ლარი;
- განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური ძეგლების/ობიექტების ინვენტარიზაცია (ღირებულება 8,4 ათასი ლარი), ინდუსტრიული მემკვიდრეობის მუზეუმის ექსპოზიციის მომზადება ჰიდროელექტროსადგურის შენობაში, ბორჯომის მინერალური წყლის პარკში (ღირებულება 450 ათასი ლარი);
- დაგეგმილია სხვადასხვა სახეობის სპორტული ღონისძიებები – 416,1 ათასი ლარი;
- **განხორციელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის,** სკვერებისა და სპორტული მოედნების რეაბილიტაცია **(ღირებულება – 1,5 მლნ ლარი);** 2022 წელს – ბორჯომში ტურბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე ფეხბურთის მოედნისა და ჩოგბურთის კორტის მოწყობა – 475,9 ათასი ლარი; სპორტული მოედნების მოწყობა-სარეაბილიტაციო სამუშაოები ბორჯომში (მესხეთის ქ. 107);
- 2022-2023 წლებში, დაგეგმილია ბორჯომის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია – **4 მილიონ 300 ათასი ლარი;**
- 2021 წელს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 5 სოფელში (სადგერი, ლარები, ბეშეთი, დიდი მიტარბი, რველი) დამონტაჟდება გარესავარჯიშო მოწყობილობები – 100 ათასი ლარი;
- 2021 წელს, სოფლის პროგრამის ფარგლებში, განხორციელდება სოფელ სანავის სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, დაბა ახალდაბის სპორტული მოედნის შემოღობვა და სოფ. საკირესა და ტაძრისში სპორტული მოედნის მოსამზადებელი სამუშაოები.
- 2022 წელს დაგეგმილია მსოფლიო ჩემპიონატი ფრისტაილსა და სნოუბორდში;
- 2025 წელს დაგეგმილია ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი;
- გაგრძელდება მაღალმთიან დასახლებებში მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა;
- 2021-2023 წლებში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით, სხვადასხვა სახეობის სპორტულ და გასართობ-შემეცნებითი პროექტებისთვის გათვალისწინებულია 1 მლნ 36,5 ათასი ლარი;
- ახალგაზრდობის მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში, კულტურის, ხელოვნების, ერუდიციის, განათლებისა და სპორტის სფეროში წარმატებული ახალგაზრდების ხელშეწყობისა და მაღალი მოსწრების სტუდენტების (ბაკალავრი) წახალისების მიზნით, ჯილდო გაიცემა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებულ სტუდენტებზე. აღნიშნული პროექტი გაგრძელდება და გაფართოვდება – დაჯილდოება გავრცელდება კერძო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებზეც.
- 2021 წელს გადამზადდება ბორჯომის მერიის ახალგაზრდული სამსახურის 2 თანამშრომელი ახალგაზრდული პოლიტიკის კოორიდნატორად.

# მართლწესრიგი

### დანაშაულის სტატისტიკა

**2017-2020 წლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მძიმე დანაშაულის (იმ 5 სახეობის – მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება, ძარცვა, ყაჩაღობა, რაც არსებითად განსაზღვრავს კრიმინოგენური მდგომარეობის სურათს, მიხედვით) სტატისტიკა მოყვანილია ცხრილში:**

მძიმე დანაშაულის სტატისტიკა მოწმობს, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში, 2017-2020 წ.წ. კრიმინოგენური მდგომარეობა სტაბილურია: ამ წლებში მთლიანად რეგისტრირებულია კრიმინოგენური მდგომარეობის სურათის განმსაზღვრელ სახეობათა დანაშაულების სულ 24 შემთხვევა, რომელთაგან გახსნილია – 15, ანუ 62,5%, რაც გახსნის საშუალოზე მაღალი მაჩვენებელია. სტატისტიკით დასტურდება, რომ მძიმე დანაშაულის რეგისტრირებული შემთხვევები მუნიციპალიტეტში იშვიათია, ყოველწლიურად 7-8 შემთხვევის ფარგლებშია, ხოლო მათი არსებითი ზრდა წლების მიხედვით არ შეინიშნება.

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის **შინაგან საქმეთა სამინისტროს** შემდგომი განვითარება გაგრძელდება **„სისტემური განახლების“** კონცეფციის შესაბამისად. უმნიშვნელოვანესია, რომ გაღრმავდება **კრიმინალური პოლიციის რეფორმა;** კერძოდ, კრიმინალურ პოლიციაში დასრულდება საუბნო მიმართულების ეტაპობრივი ჩანაცვლება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელით. განვითარდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი **მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი,** რომლის უმთავრესი ამოცანა იქნება დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა.

### პრობაციონერთა სტატისტიკა

სტატისტიკა მოწმობს, რომ საანგარიშგებო პერიოდში (2017-2020 წ.წ.) მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა სტაბილურია, წინა წლებისგან განსხვავებით, აღარ იზრდება და 145-165-ის ფარგლებშია; წლების მიხედვით, მცირდება პრობაციონერთა შორის განმეორებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევათა რიცხვი და პროცენტული მაჩვენებელიც, რომელიც 7%-ს არ აღემატება (2017 წელი), ხოლო გასულ 2020 წელს, ასეთი შემთხვევა საერთოდ არ აღრიცხულა. პრობაციონერთა შორის რეციდივის მაჩვენებლის კლება ასევე მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტში გაუმჯობესდა კრიმინოგენური ვითარება და იგი სტაბილურია.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად პანდემიისა, 2020 წელს მოხერხდა 2 პრობაციონერს მონაწილეობა მიეღო სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში. სამომავლოდ, პანდემიის გამოწვევის გათვალისწინებით, პრობაციის სააგენტო გეგმავს ასეთ პროგრამათა გაფართოებასა და ეფექტიანად განხორციელებას. ასევე, განზრახულია მსჯავრდებულთა აქტიური ხელშეწყობა მათი ადგილზე, მუნიციპალიტეტში დასასაქმებლად.

### ბორჯომის იუსტიციის სახლი და საზოგადოებრივი ცენტრები

**2016 წლის ივნისიდან ქალაქ ბორჯომში შეუფერხებლად მუშაობს იუსტიციის სახლი, რომელიც მოსახლეობას 400-მდე სახის მომსახურეობას უწევს;**

იუსტიციის სახლის გახსნის შემდგომ, ბორჯომის მუნიციპალიტეტის ყოველ მოქალაქეს შესაძლებლობა ეძლევა, მისთვის კომფორტულ გარემოში, ერთ შენობაში, ზედმეტი დროის ხარჯვის გარეშე და მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებში, მიიღოს მნიშვნელოვანი და აუცილებელი დოკუმენტები. სწრაფად და მოხერხებულად, ზედმეტი ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე, დაარეგისტრიროს უძრავ ნივთზე საკუთრება, განახორციელოს სამეწარმეო თუ არასამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაცია და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის სახლის მომსახურეობით კმაყოფილების ხარისხი, ჩატარებული კვლევების შესაბამისად – 92%-ს აღწევს, რაც საჯარო მომსახურეობის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

2017 წლის ადგილობრივ არჩევნებზე, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში, საზოგადოებრივ მომსახურეობათა ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და მათი ხელმისაწვდომობისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახელდა მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საზოგადოებრივი ცენტრების ამოქმედება. **საზოგადოებრივი ცენტრი,** იუსტიციის სახლის მსგავსად, წარმოადგენს სათანადო ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილ სივრცეს, სადაც მოქალაქეს დასახლებიდან გაუსვლელად შეუძლია მისთვის კომფორტულ და ხელსაყრელ გარემოში მიიღოს 200-მდე სახის სახელმწიფო, ასევე კერძო მომსახურება, რომელსაც სპეციალურად ამ მიზნით მაღალი პროფესიული სტანდარტებით მომზადებული პერსონალი ახორციელებს; იმავდროულად, საზოგადოებრივი ცენტრი განახორციელებს არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ უკვე მუნიციპალურ სერვისებსაც.

**მუნიციპალიტეტში პირველი საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა დაბა ბაკურიანში, 2017 წლის 5 ოქტომბერს.**

**ცხ. 1 ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე დანაშაული 2017-2020 წწ.**

| მძიმე დანაშაული სახეობათა მიხედვით | 2017 | 2018 | 2019 | 2020 |
|---|---|---|---|---|
| განზრახ მკვლელობა (სსკ-ის 108-ე-109-ე მუხლები)<br>მათ შორის, გახსნილი | 0<br>0 | 0<br>0 | 1<br>1 | 0<br>0 |
| მძიმე დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ-ს 117-ე მუხლი, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება)<br>მათ შორის, გახსნილი | 0<br>0 | 2<br>2 | 3<br>1 | 2<br>0 |
| გაუპატიურება (სსკ-ს137-ე მუხლი)<br>მათ შორის, გახსნილი | 0<br>0 | 1<br>0 | 1<br>0 | 2<br>0 |
| ძარცვა (სსკ-ს 178-ე მუხლი)<br>მათ შორის, გახსნილი | 2<br>2 | 4<br>4 | 3<br>3 | 3<br>2 |
| ყაჩაღობა (სსკ-ს 179-ე მუხლი)<br>მათ შორის, გახსნილი | 0<br>0 | 0<br>0 | 0<br>0 | 0<br>0 |
| სულ<br>მათ შორის გახსნილი | 2<br>2 | 7<br>6 | 8<br>5 | 7<br>2 |

**ცხ.2 პრობაციონერთა სტატისტიკა ბორჯომის მუნიციპალიტეტში**

| პრობაციონერთა სტატისტიკა | 2017 წ | 2018 წ | 2019 წ | 2020 წ |
|---|---|---|---|---|
| მოქმედ პრობაციონერთა საერთო რაოდენობა | 159 | 166 | 162 | 145 |
| არასრულწლოვან მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა | 0 | 3 | 2 | 1 |
| დანაშაულის რეციდივის შემთხვევები | 11 (6,9%) | 9 (5,4%) | 5 (3,1%) | 0 |
| სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში მონაწილე პრობაციონერთა რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 2 |
| პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 |




# ჩემო ძვირფასებო!

ბორჯომი და მისი შემოგარენი ულამაზესი ადგილებით დახუნძლულ საქართველოშიც კი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მუნიციპალიტეტია, რომელიც მსოფლიო მასშტაბითაა ცნობილი და არამხოლოდ ქვეყნის მოსახლეობაზე, არამედ უცხოელ სტუმრებზეც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

საამაყოა, როდესაც გაქვს შესაძლებლობა შენი ქვეყნის ერთ-ერთ სავიზიტო ბარათზე, უნიკალურ ტყე-პარკზე, კარგად ნაცნობ, მშრომელ, კეთილ, სტუმარმასპინძლობით გამორჩეულ ხალხზე იზრუნო.

2017 წლიდან – დღემდე, საკრებულოს წევრი ვარ, ვიკავებდი სხვადასხვა თანამდებობას და ვიცი, რომ განვლილი 4 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოს კვალდაკვალ, წინ კიდევ ბევრი გამოწვევაა. მთელი ეს დრო საკუთარი თვალით ვხედავდი, როგორ ვითარდებოდა მუნიციპალიტეტი და შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მერად ჩემი არჩევის შემდეგ კვლავ გაგრძელდება კურსი, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებისთვისაა აუცილებელი.

ჩვენ გვაქვს რეალური მიზნები, რომელსაც აუცილებლად განვახორციელებთ. მომდევნო 4 წლის განმავლობაში მოვაწყობთ თანამედროვე სპორტულ ინფრასტრუქტურას, შევქმნით ახალ, კომფორტულ ტურისტულ ლოკაციებს, განვავითარებთ სამთო-სათხილამურო სპორტს. სოფლებში მოვაწყობთ თანამედროვე ინფრასტრუქტურას და მაქსიმალურად ავითვისებთ იმ უდიდეს რეკრეაციულ თუ სამედიცინო ტურისტულ პოტენციალს, რომელიც მეტი სამუშაო ადგილის შექმნის, ადგილობრივთათვის დამატებითი შემოსავლის მიღების, საერთო კეთილდღეობის ზრდისა და სწრაფი ტემპით განვითარების საწინდარია.

მხარდაჭერის იმედი მაქვს და მჯერა, თქვენი მაქსიმალური ჩართულობით, 4 წლის შემდეგ ჩვენი მუნიციპალიტეტი კიდევ უფრო ლამაზი, ინვესტორებისა და ტურისტებისთვის კი უფრო მიმზიდველი იქნება.

ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

## „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:



- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;



- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;



- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;



- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;




- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;




- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;




- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.